ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2354564

ნომერი: AR1364747

თარიღი : 17.12.2015

გაცემის თარიღი : 22.12.2015

გაცნობის თარიღი : 22.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 38-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 40 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 42 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 42-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 44 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ავჟანდაძე პ/ნ 01008026064
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 19 ბ. 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 25/11/2015 წ.

№2313336 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17/12/2015 წ. #AR1364747 განცხადებით მომართეს ნინო ავჟანდაძემ და გიორგი ბაკურაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.11.2015 წ. №2313336 ბრძანებაში ხარვეზის გასწორება მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 26/11/2015 წ. №2313336 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა მარაბდა, N6 / ქ. თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი, N38-ის მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი, N40 / ქ. თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი, N42 / ქ. თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი, N42-ის მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი, N44 / ქ. თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი N38, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.11.065.060) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 26 ნოემბრიდან 2016 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 26/11/2015 წ. №2313336 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 2005.1 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1998,6 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 1081.5 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1083.4 კვ.მ.–ს, ხოლო დამხმარე ფართობი 123.8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 115,4 კვ.მ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს 26/11/2015 წ. №2313336 ბრძანებაში დაშვებული ხარვეზის გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 26/11/2015 წ. №2313336 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1998.6 კვ.მ, დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს– 115,4 კვ.მ., ხოლო საცხოვრებელ ფართობად – 1083.4 კვ.მ.
2. სამსახურის 26/11/2015 წ. №2313336 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 26/11/2015 წ. №2313336 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.